

№ 1.

## უკანასკნელი ქურნალი

1907 დეკემბერი

132 - 1907/5 გათხველი.

დღეიდან ვიწყებთ ახალს ყოველ-კვირეულ გამოცემას ნახატებით და კარიკატურებით.

უკრნალს სავნად ექნება ჩვენის ქვეყნისა და ხალხის გულწრფელი და წმინდა საძახური, ჩვენის შეგნებისა და ძალ-ღონის დაგარად.

უკრნალ-გაზეთის გამოცემა და მისი გაძლილა ჩვენთვის ახალი საქმე არ არის. ამ მხრივ საგოგადოება საქმაოდ გვიცნობს.

მეტად ძნელია აწინდელ პირობებში უკრნალის გამოცემა, მაგრამ ჩვენ არავითარ სულიერსა და ზნესრივ ძალ-ღონებს არ დაგზოგავთ, რომ პირნათლად გამოვიდეთ მყითხველთა წინაშე.

ამ თავითვე უნდა აღვიაროთ, რომ «ნიშალური» არ იქნება ვიწროთ პარტიული ორბანო.

ჩვენ ერთნაირის მიუდგომლობით და სამართლიანობით ანგარიშს გაუწევთ ჩვენის ცხოვრების ჭირ-გარამსა და მის ავ-კარგსა.

არავითარ ცალ-მხრივობას, მიკერძებას და პირადობას ადგილი არ ექნება ჩვენს უკრნალში.

ჩვენი პოლიტიკური მრწავის მარტივია: განუყრელად ცხოვრება რუსეთთან, მაგრამ სრული თავისუფლება შინაურ საქმეთა მართვა-გამტეობაში.

ჩვენ მომხრე ვართ ევოლიუციისა და თანაუზრძნობთ ყოველ-გვარ მოძრაობას, რომელსაც აზრათ აქვს ჩვენი ცხოვრების ძირიან-ფესვინად განახლება.

ჩვენ მოწადინე ვართ მშრომელ ხალხის განთავისუფლებისა იმ პირობათაგან, რომელნიც მას ქონებრივ და ზნეობრივ აბეხავებენ.

ჩვენ თავგამოდებით ვიბრძოლებთ საუკეთესო მერმისი-სათვის საერთო ბედნიერების დასამყარებლად.

ჩვენს მეზობლებთან, კავკასიის ყველა ერებთან, ზეწა-დიან ძმური კავშირი და პოლიტიკური სოლიდარობა სა-მართლიანობისა და გულწრფელობის საფუძვლებზე.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ უკრნალის ხასიათი—იუმორი, დაცინვა და ყბადალება ბევრს მომღურავს და ავად მხსენებელს გაგვიჩნის, მაგრამ ეგეც ვიცით რომ ვერავითარი ავყაობა ვერ შეგვაშინებს. ჩვენ მართებულად და თამამად ბავივლით ჩვენს გზას.

ჩვენს სიცოცხლეს და კეთილდღეობას იმდენად ვაფა-სებთ, რამდენადაც იგი საჭიროა საზოგადოებისათვის.

ეს ერთგვალი მარტივები და მოღვაწეები.



გრიგოლ ვოლოხი.

მესამე „დუმის“ არჩევნების წინ.

**ნინიკა.** — ააა, იყანიგა, დუმის არჩევნები არ მოდისა?

**ივანიკა.** — შენც არ მომიკვდე!.. ეს ხომ მესამე დაა და ახლა კი მიგწდი რაცაა. — სხვის მოწონებული ვინცდა უნდა აფირჩიო, მერე ამან გადავ ვინცდა სხვის მოწონებული უნდა იარჩაოს, და ის ვინცდა ვინცდის მოწონებული ჩემს საქმეში შოგენია უნდა გახდეს?!

რიშ-ბაბა.

### სპარსელი ქართველები



ხუციშვილი და ონიკაშვილი.

### გამოთხოვება.\*)

მშვიდობით, ჩვენო და-ძმანო,  
მყოფნო აქა თუ გარეთა!  
გზა ეკლიანი გამოვვლეთ  
თქვენს სანახავათ მწარეთა...  
მოვედით, გნახეთ კეთილად,  
გავლალდით, გავიხარეთა.  
დიდი ხნის დაგუბებული  
გრძნობა ცრემლებათ ვლვარეთა.

მივდივართ! გულში ზღვად მივდევს  
პატივისცემა ძმებისა,  
და ტურფა სანახაობა  
ძველის სამოთხის მთებისა...

მშვიდობით, კიდევ მშვიდობით!  
მაღლობა ჩვენსა ძველებსა...  
თქვენი გულ-მადლიანობით,  
იქ გავახარებთ ჩვენებსა!..

### შ. მღვიმელი.

\*) ეს ლექსი წაკითხულ იქნა სცენიურ 15 მარიამ-გისთვეს ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისაგან „ღალატის“ წარმოდგენაზე.

**სულეიმან-ხანი.** იცინი, ოთარ-ბეგ? ერთოვანებული  
ოთარ-ბეგ. ვიცინი, დიდებული; მცირდოს. მცირდები  
და ბოროტები არ იცინია!..

(„დალატი“ ა. სუმბათაშვილისა).

დიდი რამ არის სიცილი; უფრო დიდებულია  
დაცინება!

ისე მძლავრად, ისე შეუპოვრად ვერაფერი  
მოქმედებს ადამიანზე, როგორც დაცინება!

სასაცილოდ იგდებასთანა მწარე და გულის-  
გამგირავი კაცისათვის არაფერია.

ყველაფერს აიტანს ადამიანი, ვეღარ უძლებს  
მხოლოდ დაცინვას.

შესაძლებელია ძალმომრებით შებოჭონ აზრი  
— გონება, შეკრან და შეზღულონ ფიქრი და გრძ-  
ნობა, ოცნებასაც კი კლიტე დაადონ; შეხუთონ  
და შეკუმონ გულის საძირკველიდან აღმონახეთქი  
ტანჯვა-ვაება, დაალუმონ კვენესა-გოდება, მაგრამ სი-  
ცილზე კი ვეღარ გაიმარჯვებენ.

შეუძლებელია დაცინება როდისმე შემუსრონ!..

განსაკუთრებით მძლავრი და შეუპოვარია სი-  
ცილი აწინდელისთანა დროს, როცა თავზე ხელ-  
ალებული ძალმომრებია, ურცხვი და შუბლ გარე-  
ცხილი რეზიმი განუსაზღვრელ უფლებას აძლეჭს  
თავის მდაბალ ინსტიქტებს და ბარბაროსულად  
დათარებობს ქედმოხრილ და დაბექავებულ ხალხის  
ზურგზე!

სიცილზე უმაღლესი მეუფე, მასზე უზენაესი  
ბრძანებელი ვერ მოიპოვება დედამიწის ზურგზე.

სიცილი, ვითარ სიკვდილი უძლეველია!

სიცილი არასოდეს არ კვდება!

სიცილის წინაშე თრთიან და ცაცახახებენ ძლევა  
მოსილნი მეუფენი და მძლავრნი ამა ქვეყნისანი;  
სიცილის წინაშე სცუმდება და ყუჩდება სიცუჩჭირე  
და გაიძვერობა მდაბალთა სულთა...

ბოროტმომქმედი, გათახსირებული და გახრწ-  
ნილი არსება ისე უფრთხის დაცინვას, როგორც  
ცივს სამარეს!..

სიცილი სულიერი თავისუფლებაა!

რაც უნდა დაგხაგროს მტერმა, რაც გინდ  
ბორკილი და ხუნდები დაგადვას, რაც უნდა ბნელ  
ჯურლმულში ჩაგმარხოს, თუ კი სიცილს შესძლებ,  
— თავისუფალი ხარ და შენი მტარევალი კი უძლური  
და დარცხვენილია თავის არარაბით შენის გაბე-  
ღულის და ცხოველმყოფელს სიცილის წინაშე...

მაშ ვიცინოთ, მკითხველო!

ვიცინოთ და დავცინოთ ხალხის მტრებს,  
მტარვალებს, ბნელების მოციქულებს, ძალმომრე-  
ბის რაინდებს, დუხჭირებს და შუბლგარეცხილებს!

ვერას გვიზამენ, ვერას დაგვაკლებენ, თუ კი

თან გვახლდება უძლეველი სიცილი, ესე იგი, სულიერი თავისუფლება!..

რა ვუყოთ რომ ხორციელად გვჯობიან, რა ვუყოთ რომ ჩვენს სხეულს უფლობენ; რა ვუყოთ რომ მოგვლალეს, დაგვტანჯეს, დაგვაუძლურეს და დაგვაძაბუნეს! სული ხომ ჯერ ჩვენ ხელთ არის და ამიტომ, სანამ ძალა შეგვწევს და სული სხეულში ტრიალებს—ვიცინოთ! ვიცინოთ ხმა მაღლა, ვიკასკასოთ და ვიხარხაროთ და თან დავცინოთ იმათ არარაობას და ამაოებას!

გჯეროდეს, მკითხველო, ჩვენს ყოფაში სიცილი და დაცინვა უფრო სწორედ და სწრაფად მიგვიყვანს გამარჯვებასა და განთავისუფლებისაკენ... მაშ ვიცინოთ და დავცინოთ!!

### რედაქტორი გამომცემლის ლოცვა



„უფლებული წმინდა და „რჩენის გედა“, ამაცნები რჩენის გუბერნიას!..

ჩამქრალი ბუქსარი.

(პოლიტიკური ზღაპარი)

ფეოდორ სოლომოვისა.

ერთს სახლში ბუხარი ჩამქრალი იყო. დიდი ხანი არ გაეთბოთ, რაღაც ცეცხლის გაჩენისა ეშინოდათ. დიასახლისი მეტად მუნწი ქალი იყო და ხშირად ამბობდა:

— ოთხი კედელი ამართულია, ჭერიც დახურულია, იატაკიც დაგებულია, კარებიც ქეჩით არის გაკრული, ჭუჭრუტანები ყველგან დაცობილია და ზედ წამილია წისმული, სიცივე არსაიდან არ შემოდის, ქარისთვის აქ ადგილიც არ არის—მეტი რაღა გნებავთ, რომ აღარ მესმის!

დიასახლისის შვილები, სულელი და მტკნარი ბავშვები, დედას შეეკითხენ:

— დედილო, ჩვენ საბატულო ოთახში მზინც აანთე ცოტა ფეცხლი, თორემ სიციფრაჭვენ ჭომის გავყინდეთ!..

**გიგანტის გამომცემლის მუნიციპალიტეტი**  
მუნწი დიასახლისი კი გულგრილად და თა ალერსიანის დაცინვით უბასუებს:

გეყოთ, თქვე სულელებო, აბა რად გინდათ ცეცხლი და ბუხარი? თქვენ ჯელები ხართ—მოთხენით სიცივესაც აიტან და სხვა ბევრ ჭირსაც!. თქვენ ოლონდ ჰაერს ნუ ამოძრავებთ, ქარი არ ატყდეს... იჯექით თქვენთვის ჩუმად და დინჯად, ნუ ცელქობთ... ერთმანეთს ახლო მოუჯექით და ერთმანეთთან ახლო დათბებით და საცაა ზამთარიც გაივლის... და კიდენ გაზაფხულიც მაღა დადგება, მაშინ ეზოში გაგიშვებთ, ბალაბ-ბულახზე გაგორდებით. თქვენ კი გაიძახით ბუხარს ცეცხლი შეუკვეთეო... რა საჭიროა? ტყვილა უბრალოდ შეშაც დაიწვის, ნაცრად და კომლად იქცევა... სხვა არა იყოს რა, ყორნებს და ყვავებს ცხვირპირს გაუმურავს ბუხრიდან ამოვარდნილი ჭვარტლი და კომლი!.. არა, შვილებო, სანამ მე ცოცხალი ვარ, თქვენ ბუხრის გათბობას ვერ ელირსებით და თქვენც გირჩევთ გიუშურს და შეუძლებელ ოცნებებს თავი დაანებოთ.

თვითონ კი დიასახლისი კვერნის ტყავსა და ქურქშია გამოწყობილი, ზედ თავზე შალისა და თივთიკის თავსახვევი შემოუკრავს, ფეხებზე თბილი მატყლის წინდები ჩაუცვამს და ქოშებში დაფრატუნებს, ანჩხლობს, კაპასობს და ბავშვებს ზედ დაჰკიის და დაფორიაქობს.

— მე ძალზედაც მობილოო, ამბობს დიასახლისი. ბავშვებს, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივად თხლად აცვია, რაც აცვიათ ისიც დაკონკილი და ათას ადგილის დაკერებულია, საკინძე ჩამოგლეჯილი და დუგმები დაწყვეტილია. კანკალებენ სიცივესაგან, კბილებს აკრაჭუნებენ და სიმწარით ცრემლები მოსდით.

ერთხელ უფროსმა ბიჭმა გაბედ და აი რა მოიფიქრა:

— იგრე როდემდეს ვკან კალობდეთო; სულები ხომ დაგვეკრა, სანამ გაზაფხული დადგებათ ჩვენი უსულო ლეშები და დარჩებათ. მოდი რაც აქ სკამები და მაგიდები აწყვია დავამტვრიოთ, ბუხარში შეუკვეთოთ და ერთხელ მაინც მაღლიანათ გავთბეთო.

— დედა გაგვრისხავს და გაგვტყებავს, მიუგეს პატარა გოგოებმა.

მაგრამ ბავშვებს ისე სციოდათ, ისე აკანკალებდათ, რომ ბევრი არც აცივეს არც აცხელეს, და რაც კი ოთახში ავეჯი იყო, მაგიდები, სკამები და სხვა ყველაფერი დაამტვრიეს, დალეწეს და ბუხარში შეუკეთეს.

აინთო ბრხარი, აგიზგიზდა ალი და ცეცხლი,

დაიწყო ტკაცუნი ნაკვერჩხლებმა, გაღვივდა მაღლიანი და მხიარული ცეცხლი და ბავშვებსაც გული სიხარულით და სიმით აეცხოთ, იცინიან და კისკასობენ და თან ეშმაკურად გაიძახია:

— დედასაც დაუძახოთ, დეე, გათბესო!

### ოთხ ძარღვიანი არჩევანი.

(მცირე განმარტება საქოთო, თანასწორის, ფარულის და პირდაპირის არჩევანისა).

I უზენაესი უფლება ყოველს. კანონიერს სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს მთელს ხალხს და ამიტომ მთელი ერი — ხალხი მონაწილე უნდა იყოს თავის წარმომადგენელთა არჩევანში და იმავე დროს ყველას კერძოდ სრული უფლება უნდა ჰქონდეს თვითონაც არჩეულ იქმნას ხალხის წარმომადგენლად.

ზემოდ ხსენებულის მცნებიდან იბადება უფლება საერთო არჩევანისა.

II ერის — ხალხის ყველა ნაწილები-ზევრები, ესე იგი, ყველა მოქალაქენი სრულიად თანასწორნი უნდა იყვნენ არჩევანის უფლებაში, მიუხედავად მათის სქესისა, ეკონომიკურის თუ სწავლა-განათლების თუ კლასსიურის განსხვავებისა.

ამ მცნებიდან იბადება უფლება თანასწორის არჩევანისა.

III არც ერთი მოქალაქე ვალდებული არ არის ვისმე ანვარიში გაუწიოს, გარდა თავის სინიდისისა ამა თუ იმ კაცის წარმომადგენლად არჩევანში; ამავე დროს არავის უფლება არა აქვს კონტროლი გაუწიოს ან რამე ზედგავლენა იქმნიოს ამომრჩეველის რწმენასა, მიმართულებასა და შეხედულობაზე.

### „შრომა და კაპი-ალი“



(განმარტება მეტია).

ამ მცნებიდან იბადება უფლება არჩევანისა.

IV ყველა მოქალაქის ზემოდ უსასერტები უფლება, — ესე იგი, ძალ დაუტანებლივი არჩევა წარმომადგენელისა თავისის რწმენისა და სინდისის მიხედვით, — მაშინ იქნება უფრო უზრუნველყოფილი და შეუბლალავი, თუ ამომრჩეველთა და არჩეულთ შორის არავითარი შუამავლობა არ იქნება ჩახირული და ამომრჩეველი დამოუკიდებლად პირდაპირ ერევა არჩევნების საქმეში.

ამ მცნებიდან იბადება უფლება პირდაპირის არჩევანისა.

აი ამასა პქეიან ოთხარღვიანი არჩევანი, რომელიც, როგორც ხედავთ, ყოვლად სრული და მასთან მარტივი უფლებაა ყოველ თავისუფალ მოქალაქისა.

ამ გვარ საფუძველზე დამყარებული არჩევანი ღიახაც სასურველი და აუცილებელია ნამდვილად დემოკრატიული უფლებათა დასაფუძნებლად სახელმწიფოში და აკი ასე თავგამოდებით იბრძვიან ამის მისაღწევად ყველა პროგრესიული პარტიები.

### „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ბურჯი



(განმარტება მეტია),

### ჩვენი მარტივები და მოღვაწეები.

#### გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარისე)

მკითხველებმა უკვე გაზეთებიდან იციან, რომ ამ იურა პირებებს ბათუმში ბულვარზე მძიმედ დასჭრეს და კინაღამ სიცოცხლეს გამოსალმეს ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ისახებისე ვოლსკი.

საბერძნებრიო ვოლსკის ჭრილობა საიკედილო არ გამოდგა და ამ თვის დამლევს, როგორც გვაცნოებენ, წამოდგება კიდეც.

გრიგოლ ვოლსკის ქართულს მწერლობასა და საზოგადო მოღვაწეობაში თვალ-საჩინო აღმილი უჭირავს. ჯერ კიდევ უზიგერსიტეტში იყო, როცა ქართულ მწერლობაში გამოვიდა ჯერ როგორც პოტი უმრიდებეს ფედერაციისთვის და ერთბაშათ მიიქცია საზოგადოების ყურადღება; მერე თანამშრომლობადა ყველა ქართულს პროგრესიულს გაზეთებში;

აქაც თავისი ფხიზელი, მარტივი და მძლავრი წერილებით თავისი კვალი დასდო ჩევნს ცხოვრებაში.

იგი მალე შეუდა პრაქტიკულ მუშაობასაც და სპეციალობით ექიმი გალე დაუახლოვდა მდაბიო ხალხს და აქაც მისი ღვაწლი დაუფასებრებია. ბათუმში რა ერთი ხანია ქალაქის გამგეობის წევრათ არის არჩეული და მისმა პატიოსნურმა და ქალოვანმა მუშაობამ მჭიდროთ გაიდგა ფესვები საზოგადოებაში და ნამეტნაგათ ღიღი სამასური გაუწია ქართველების საქმეს ბათუმში, სადაც იმ ხანად სისტემატიური დევნა იყო გამართული ქართველების წინააღმდეგ ცნობილი კაცი-ქამია პალამისა და „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ მეთაურობით.

გრიგოლ ვოლსკიმ თავისი უანგარო და პირნათლიანი მოღვაწეობით დიახაც სახელი გაუთქვა და მოარიგა ბათუმის სხვა და სხვა რჯულის და მილეთის მცხოვრები ქართველების უნარიანის და პატიოსან შრომასთან.

გრიგოლ ვოლსკი ჯერ ახალგაზრდა კაცია და კიდევ ბევრ რამებს შექმნებს ქართველობისათვის, რომელიც ავრე გულწრფელათ უყვარს და რომელსაც მზად არის თავი შესწიროს.

**მემედ ბეგ აბაშიძე.** იმავე გარემონდი და იმავე ბულვარზე ამ თვის 17 კინალამ მხეცურად მოჰკლეს მთელი ბათუმის ოლქში და ჩევნს ინტელიგენციაში კარგად ცნობილი მემედ ბეგ აბაშიძე.

ვიღაც თავტედ ხელ-აღებული ვერაგი და ავაზაკი თავს დასცემია მემედს და რამდენიმე ჭრილობა მიუტა ბებულით. აბაშიძე არ შეკრთალა და იქვე დაუჭრია ბორიტ-გამზრა-ხველი. მთელი ბათუმის საზღვადოება საშინალად ააღლვა ამ უგნიურმა და თავტედურა განზრახეამ. საზოგადოდ ამ უკანასკელ ხანებში, აკრილში მომხდარ სომქე-ქართველთა მუშების შეტაკების შემდეგ, ბათუმში ურთი ერთ შორის ნდობა და გულ-წრფელობა განქრა, რაც მეტად სამწუხარ მოვლენად უნდა ჩაითვალის, რაცმან ყოველივე ასეთი უნდობლობა ხიათასა და უბედურებას ჰქონდეს ხოლმე მასაში.

მემედ ბეგ აბაშიძე ერთხანად მასწავლებლად იყო ქართულ სკოლაში და თან ახლო მონაწილეობას ღებულობდა ყველა გვარ ადგილობრივ საქმეებში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის მემედ ბეგს ქართველ-მამადიანებსა და ქართველ საზოგადოების შორის ძმურის კავშირის და სოლიდარობის ურთიერთობის დამკვიდრებაში.

მემედ ბეგ აბაშიძემ ზედ მიწვევით იცის ქართული, იმანალური და არაბული მწერლობა და დრო გამოშებით ამცნობს ხოლო ქართველ მკითხველებს ისმალურ ნაწარმოებს, ასე მაგალითად მის მიერ თარგმნილი ცნობილი ქემალ ბეგის დრამა „სამობლო“ დაიბეჭდა „მოაბეში“ კიდეც დაიღმა ბათუმის სცენაზე.

მემედ ბეგი თანამშრომლობდა და «ცნობის ფურცელსა» და ეხლა „ისარში“. აბაშიძე მეტად გონება ფხიზელი, განვითარებული კუკია; ჯერ სრულებით ახალ-გაზრდა და ამასთანავე კარგი მჭერმეტყველი. ამ ორის წლის წინად ტფილისში ყოფის ღრის მემედ ბეგის სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა დიდ ძალი საზოგადოება, რომელიც შეკრებილ იყო ინტელიგენციის მიერ თათხების პატივი საცხად ქართულ მეჯლისზე.

კუსურვებთ მემედ ბეგ აბაშიძეს მაღალ მორჩენას და ძველებურს სიმარტვეს სულისას და თავისი უდიდესი შემოსილება და მის მიერ თარგმნილი ცნობილი ქემალ ბეგის დასამარებლად.

### ქართული დრამატიული საზოგადოება.

(წერილი რედაქტორის მიმართ, ქართული რეპერტუარის—პიესების სახელმძღვანელო შედეგი).

არც თუ ჩივილი არც თუ ხემწნა.

ახლად მოვლენილო „ნიშანდურო“, გთხოვთ იწამო ჩევნი „გულის თქმა“ და დღევანდელი საზოგადო კრებისათვის დაგვიტექდო ეს წერილი, ხალხისავით ფერადად ამოქსოვილი ჩევნის პირვარამის გოდებისაგან.

### ქართული თეატრი და სცენა



გვიშველეთ! გვიშველეთ!!! გვიშველეთ!!!!

შროგრესულმა მოძრაობაში უგელა მუშათა მდგრმარეობა გაუშფობება... ხთლო ვერთები ეშველა ქართულ სცენის მუშაკთა ბედიდანას და მდგრმარეობას.

ას ვიცი „ვისი ბრალია“ დღევანდელი „საძაგელი“ და „სულთამბუთავი“ მდგრმარეობა ჩევნის სცენისა და „ქართულის თეატრის დედა ბოძებისა“, „მაგრამ ეგ კია, რომ ვერც „საზოგადო საქმის“ სიდიდემ და ვერცა „ახალი მოძრაობის“ „ქარიშხალმა“ ვერ მოაბრუნა „სასიცვდილოდ განწირულნი“ და „სულით ღატანი“ წევრნი გამგეობისანი.

მართალია, „ყველაფერი ბეზედ არის“ და „ეხლანდელი დრო“ მეტად ცუდი და „ახირებული“ იყო თავის „გამოურკვეველის ლცნებით“ და მრავალის „დავი-დარაბით“, „მაგრამ არც ეგეთი „საღალათა ძილით“ უნდა განესვენა გამგეობას, რომ სრულებით „ცხოვრების გარეშე“ დარჩენილიყო; ამ მხრივ იგი დიდად „დანაშვე“ და „ხალხის მტერიც“!..

ევრა მართალია, რომ ზოგი წევრი გამგეობისა „დაუპატიუებელი“ იყო, ზოგიც „სულ სხვა კუკი“ და „ქალაჩუნა“, მაგრამ „შეერთებულის ძალით“, რომ სდომოდათ, უკველია, რასე გახდებოდნენ „სამშობლოს სადიდებლად!“

ვერა, ვერ გიმოდვნენ „ბრძოლის ველზე“ „ჩევნი ნაცნობები“—„ამ დროის გმირები!“

უეპველია, უმეტეს და განსაკუთრებით „ერთ შემთხვევაში“ ყოველივე „ჩევნი ბრალია“, რომ „ხალხმა“, ვერ გაარჩია „რიოში და ნამდვილი“ და საქმეს მიუჟენა ბატონ-პატრონად, ზოგი „ბაიუში“

ზოგი „ქალაქუნა“ და ზოგი კიდევ „ცელქები“ „დიდი როლის სათამაშოდ.“

„პატიოსნება“ გვავალებს კიდევ გავიმეოროთ, რომ აწიდელი ღრი მეტად „უკულმართი“ იყო, როგოც „ქალაქში“ ისე „სოფლად“ და „მებრძოლნი აზრისათვის“ თითქო „სამხედრო ბანაკში“ იყვნენ და რეაქციის „დვარმა“ ერთი კი არა „ორი გმირი“ და მეტიც მოსწყვიტა „ცხოვრების მეჯლისს,“ მიგრამ, რაც უნდა იყოს, „ბრძოლა არსებობისათვის“ „კაცობრიობის კეთილის მყოფელთაგან“ ერთს წუთსაც არ შეწყვეტილა, მიუხედავად გახშირებულის „გრიგალისა,“ „ციხეში“ დამწყვდევისა და უთვალავი „კიდევ ერთს მსხვერპლისა.“

ყველას ახსოვს რა დიდი „სამზადისი“ გქონდა: ახალი გამგეობა სულ „კენჭის ყრით“ ავირჩიეთ; „საქმის კაცები“ გვევონა; „მომხიბლავი ზღაპრები“ სმენას გვიტკბობდა, წინანდელით პირ-დამწვრები ვერიდებოდით „ჯამბაზებს“ და „ცრუპენტელებს,“ მაგრამ მახლას! გამგეობას მალე გამოაჩნდა „სუსტი მხარე“ და ატყდა „ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში.“ იქნება კიდეც „დედა კაცმა ავერია,“ როცა საქმეში „კოხტა კაცი“ გაერია, ეგ ხომ „შთამამავლობითი სენია“ „უშიშირი და გულმართალ რაინდებისა,“ „დონეუნებისა,“ და „მუზმუზელა“ „ყაჩალებისა,“ მაგრამ აგეოები გამგეობაში თითქო არ იყვნენ...

ასეათუ ისე „შეცდომამ“ და „მარცხმა“ თავი იჩინა და „აირია მონასტერი:“ „ზოგი ალთას ზოგი ბალთას“ მოედო. ჩავარდით ჭირსა შინა, როგორც

### სახელმწიფო დუმის თავსმჯდომარე.



ბეჭრი გეცადე—გიხრი გე  
„დუმა“ გადაწენილ იყო:  
გერც „მარჯვენა“ დავითლე,  
„მემარცხენებ“ ფანდი მიეთ,  
„კადეტების“ რეჭოფიან  
მთელ რესენს მარცხი უფა!..

„მაწანწალა სამოთხეში“ და „ოსუან ჰეტროუჩი ჯოჯოხეთში.“ ჩვენ ისედაც „ეკლიანუშტერუ ჟულუ დაერთო „შიმშილი,“ რადგან გამგეობული გულმართი მოახდინა და საქმეზე სრულიად ხელი აიღო...“

„შრომის ლუკმისათვის“ ერთხანად გამგეობას „დავას“ ვუპირებდით და საქმე კინალამ გათავდა „სცნებად მიროვოი სუდისათან,“ მაგრამ ამ „უბელური ნაბიჯის“ გადადგმას და „ციხეს შიგნიდან გატეხას“ ის ვარჩიეთ, რომ ისევ, პარიზის ღარიბი ღატაკებად“ დავრჩენილ ვყოფილიყავით, თუმცა გამგეობის წევრებს „შემოსავლიანი აღილიც“ ჰქონდათ, „ფულიც და ხარისხიც. .“

გამგეობა ხშირად იმით იმართლებდა თავს, რომ ძველმა გამგეობამ „ანდერძით“ 1400 მ. ვალი დაგვიტოვაო და როცა „ორასს ათასს“ მოვიგებთ არ არსებულის და „მოჩვენებულის“ ბილეთით, მაშინ გაგისწორდებით და მანამ კი „ქოხში“ და „მლომეში“ იძოვინეთო!

ადვილი წარმოსალგენია ჩვენი „კეუზანი,“ რაღან მოსალოდნელი „გემრიელი ლუკმა“ ხელიდან გავისხლტდა და დავრჩით აგრე „გაცრუებულის იმედებით!..“

ეხლა „მეტი გზა არ არის,“ — „მხეს მოკლებული“ ქართული სცენა და „უბრალოდ დასჯილინი“ ქართველ მსახიობნი მოგმართავთ „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ კრებას, აირჩიოთ გამგეობის წევრებად ისეთი პირები, რომ „საქმის კაცები“ იყვნენ და „არც მეორედ გაყმაწვილება“ სჭირდებოდეთ. მაშინ „საქართველოში მზის დაბნელება“ აღარ იქნება!

(ხელს აწერენ ბეჭრი, მაგრამ მათი სახელი და გვარე. ბი ვერ გავარჩიეთ). რედ.

### წურბელები და მუქთა ხორები.



— ა ხომ ხედავ, ზეტას ჩიტებსაც საკენკა უნდა. .  
მე გი საცოხნი— „დრამა“ რეკორ მოვიკლო! გაიძიხოთ  
„თავისუფლებია“ განს ჩემს მუცელს კი თავისუფლება  
„წერნის!..“

# სად ოპ მომხდარა.

(სომეხ-თათართა ურთიერთობა).

**განჯა.** მეტის მეტად სამწუხარო ამბებს გვატყობინებენ განჯილან. ადგილობრივი აღმინისტრაცია და ჯარი დიდის პატივით ასაფლავებდენ ამას წინად ავაზაკებისაგან მოკლულ ყაზახ-რუსს. სწორედ შუა დღეზე სამგლოვიარო პროცესისათვის სუკიასოვის მაღიზის ზემოდ რამდენჯერმე უსროლიათ. ამტკიცარა საშინელი აურ-ზაური, კივილ-წივილი, სირბილი და გაფანტვა ხალხისა. ყაზახებს მაშინათვე დაუშენიათ ახლო-გახლო სახლებისათვის თოფები... ბევრია დაჭრილები, არიან თურმე მოკლულებიც... საზოგადოებაში სამწუხარო ხმა დადის, რომ ყოველივე ზემოდ მოყვანილი უბედურების მიზეზი სომხები არიანო.

ძრიელ საეჭვოა სომხების მხრით ასეთი, ცოტაარ იყოს, თავებური საქციელი; ჩვენ უფრო გვჯერა, რომ ამ უბედურებაში პროვოკაცია უნდა იყოს შთავარი მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, მომხდარ ამბებში მეტად ცუდი შედეგები და ბოლო გვენიშნება... ვინ იცის რა მოყვება ამ უბედურებას?

საჭიროა გულდამშვიდებული და დინჯი გამოძიება, რომელიც, თურმე, უკვე დაწყებულია.

ღმერთო იხსენ ჩვენი მეზოილები უარესისაგან.

**გამო.** იქიდანაც მეტად სამწუხარო ამბებს იწერებინან გაზეთებში. საქმე ის არის, რომ ძველი იარა და ჭრილობა სომეხ-თათართა შეტაკებისა ვიღაც შევი ძალების მეცადინეობით, თან და თან მწვავდება... ურთ-ერთი დამოკიდებულებაში აშეარა რად ეტყობათ ჩუმი მტრობა და მომწამლავი ღვარძლი, რომელთაც შეიძლება ერთბაშათ იჩინონ თავი და ხელ-ახლად დაიწყოს სამარცხვინო და მხეცური ხოცვა-ულეტა, რამაც ასე ძრიელ ჩამოაქვითა მრივე მოქიშე ხალხი განმათავისუფლებელ მოძრაობის მონაწილეობაში კავკასიაში.

ჩვენ გულწრფელად, როგორც წინეთ ისრე ეხლაც, ვურჩევთ ორთავე ჩვენს მეზობლებს არ აყვნენ ღვარძლისა და ხინჯს.

ვინც ხმალს აღიღებს ხმლითვე მოიკვდიების. კმარა ამდენი სისხლი! კმარა ეგოდენ ცრემლი, ჯერ ისევ შეუშრობელ თვალთაგან!

**გარაბალი.** ოდესმე იყვავებული და სარჩო საბადებლით აღსავსე ყარაბაღი დღეს ყოველად დაბეჭირებული და გაღატაკებულია. მაზეზი ყველამ უწყის—სომეხ-თათართა უგნური და უნაყოფო შეტაკება, სისხლის ღვრა და დაგვა-დაწვა.

ეხლა, როგორც გვწერენ, მთელს ყარაბაღში და ნამეტნავად ზანგეზურში სომეხ-თათართა შეტაკება ადვილად მოსალოდნელია. უკვე ბევრი ნიშ-

ნებია უკიდურესი გამწვავების მაჩვენებელი: კურმა პირთა ძარცვა-გლეჯა და კვლა-ხოცვა. ყველივე ეს შეიძლება მასსაში გადავიდეს ჭარასტრიული ური ხასიათი მიიღოს.

გიგანტი უურნი აქვთ სმენათ—ისმინონ!

ბრძნული გადაწევეტილება.

(ჩინური ზღაპრებიდან).

ერთს ჩინელს ჯიბეში რამდენიმე ლერი წუმწუმა („სპიჩა“) უპოვნეს.

რაღაც ეს ამბავი მოხდა ჩინეთის მანდარინის (მოხელეს) სახლის მახლობლად, პოლიციამ ჭკუას ძალა დაატანა და გადასწყვიტა—წუმწუმა აღბადი იმიტომ ჰქონდა ჯიბეში დამნაშავეს, რომ ცეცხლი წაეყიდნა მონდარინის სახლისათვის და ამიტომ არც აცხელეს არც აცივეს და ჩინელს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.

ჩინელი გამოძიების დროს ხმას არ იღებდა, რადგან ბრძენ მთავრობას მისოვის, თურმე, საქმის გარჩევამდე ენა ამოეგლიჯა.

ჩინელი ჩამოსაღრჩობათ წაიყვანეს.

როცა ჩინელი ჩამოჰკიდეს, თოკმა ვერ გასძლო (თოკი სახაზინო იყო), გაწყდა და ჩინელი აღრევე ამოთხრილ სამარეში ჩავარდა, მაგრამ სწრაფად მოსულიერდა და ფეხზე წამოდგა. ამღვრულის თვალებით დაუწყო აქეთ-იქით ცქერა გარშემოცვეულ ბრბოს.

— პატიება, პატიება! დაიგრიალა ხალხმა. თვით ზეცამ დაამტკიცა, რომ ჩამოსახრჩობი დამნაშავე არ არისო!

მივიღნენ მოსამართლე, ბრალმდებელი და სხვა მაგგვარები და პატიების განხილვის საქმეს შეუდგნენ. რამდენსამე წუთის შემდეგ მოსამართლეებმა გამოიტანეს შემდეგი განაჩენი:

„დასასჯელათ განწირული თოკიდან ჩამოწყდა. ამით ზეცამ აშეარათ დაამტკიცა, რომ იგი უდანაშაულოა მანდარინის სახლის დაწვაში, ამიტომ დასასჯელათ განწირულს უნდა ყოველივე ეპატიოს, მაგრამ, რაკი იგი თოკიდან მოწყდა და ამიტომ გააფუჭა სახაზინო თოკი, ამისოვის იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს“.

ხოლო სახაზინო თოკი რომ ხელმეორედ არ გამწყდარიყო და ხაზინას ზარალი არ მისცემოდა, სასჯელად განწირულს თავი მოჭრეს.

ასე და ამ რიგათ გათავდა ბრძნული გადაწყვეტილება მოსამართლეთა.

## ნაძირალნი და ხულიგანები.



უფრ. ხულიგანი. დასარბევთ ხომ მზათა ხერთ?  
ხულიგ. რაზმი. მზათა ვართ!

უფრ. ხულიგანი. მაშ გაუმტრჯოს რეაქციას!

შესანიშნავი სურათები.

ხულიგ. რაზმი. გაუმარჯოს! გაუმარჯოს!!;

უფრ. ხულიგანი. ძირს დავისუფლეას.

ხულიგ. რაზმი. ძირს! ძირს!!!.

კით ხვაუნასუნი. მხად

რა არის თავისუფლება? ძილში ნახული ტკბილი სიზმარია რუსეთის ხალხისათვის, ხოლო მთავრობისა და მისი ავენტებისათვის უფლება თვითნებობასა და ძალმომრეობაზე.

რა არის სახელმწიფო საბჭო? რუსეთში „დუმა“ მთავრობის ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურეა, ან მემბოხეთა პრბო. ორსავე შემთხვევაში იგი უნაყოფოა და აკი ვერც რასმე გახდა ორი ყოფილი „დუმაც“.

რა არის შეკითხვა? რუსეთის სახელმწიფო საბჭოში, რაოდენიც გინდა იმდენი შეკითხვა შეგიძლიან შეიტანო, მხოლოდ მასზე პასუხს მთავრობა არასოდეს არ მოგცემს. ასეთ პირობებში შეკითხვა, რა თქმა უნდა, უბრალი ჩხირკედელობათ უნდა ჩაითვალოს...


რა არის პეტიცია? რუსეთში პეტიციების წერა და მირთმევა დატვირთულ ურმებითაც შევძლიანთ, ხოლო არც ერთს პეტიციას არ ვინ არ კითხულობს და არც რაიმე ყურადღებას აქცევენ. ამ რიგათ ყოველივე პეტიცია რჩება „ხმად მოაღდებლისა უდაბნოსა შინა“...

რა არის კონსტიტუცია? რუსეთში კონსტიტუცია რეალური მოვლენა კი არა საოცნებო წეს-



სათაურებელის გადმერთება  
ბუერის ნახატი.

წყობილებაა, თუმცა „შეურყეველის კანონთა“ ძალით იგი თვით ხელმწიფისაგანაც დადასტურებულია და ყველასათვის სავალდებულო გარდა მთავრობისა და მისი აგენტებისა. სწორედ ასეთ ვოფაზეა დაწერილი დიდებული რუსთველის შაირი: „ვერ იქმოდა, რად მიქადდა; თუ მიქადდა, რად მატყუა!?!“.



მამელ-ბეგ აბაშიძე.

### რ მ გ ა ნ ს ი.

(ლერმონტოვის „მასკარადი“დან).

როდესაც ცრემლი სევდის, სიმწუხრის  
ალბობს შენთ თვალთა უნებურად,  
გიმჩერ და დიდად, დიდად მიხარის,  
რომ სხვასთან სცხოვრობ უბედურადა.

ჭია და მატლი შეუმჩნეველი,  
შენს ობოლ სულსა უჩუმრად ღრღნიან,  
მე კვალად ვხარობ, რომ სიყვარული  
მას ჩემებრ მტკიცებ არ შეუძლიან.

და თუ ოდესმე ბეღნიერების  
სხივი იყლვებს შენთა თვალთ ზედა,  
ჯოჯოხეთისა ვერძნობ მაშინ ჩემს გულში  
და უხმოდ ვიწვი ცეცხლის ალზედა!

ბ. ახოსპირელი.

ზესანიშნავი სურათები.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ასალგაზედა და სიკვდილი  
დიუპუის ნახატი.

### სცენის მოქმარეობა.

(ქალზე გამზადებულთ და ყოვლად მავნეელო).

თავს და სხვებს რაღად აწუხებთ,  
ნეტავ რა გინდათ სცენაზედ?  
თუ მასხრობა გსურთ—ჩმასხრეთ,  
მხოლოდ საკუთარ ბინაზედ!  
სცენას ძალა ეჭირვება,  
თქვენ კი რა ხართ?—უცარგისი!  
„ვერა შეჯდა მწყერი ხესა,  
არა იყო გერი მისი“!

### რა არის ბეღნიერება?

საზოგადოდ ვინც ბეღნიერებაზე ლაპარაკობს,  
იგი უკვე უბედურია. ბეღნიერებაზე როდი ლაპარაკობენ, ბეღნიერებას მხოლოდ გრძნობენ. იდა-  
მიანს ცხოვრება ან უყვარს, რადგან ცხოვრებით  
სიმოვნებს, ან არ უყვარს იგი, რადგან მასში სი-  
ამოვნებას ვერ პოულობს. ბეღნიერება წუთიერი  
კმიყოფილებაა ცხოვრებით, ხოლო თუ იგი გრძე-  
ლდება—მაშინ ბეღნიერებაც ირლვევა. ერთს წუთ-  
ში საუკუნეთა ნეტარებას გრძნობა—აი ეს არის  
ბეღნიერება!

ბიუროკრატების ხორო—ხორო.

(აღტაცებული სიმღერა)



ბიუროკრატები, შეგერთდეთ—  
მტერთა ისმიან ხმანია!..  
ჩვენგან ხალხი შექმნას ედის  
აგერ რამდენი ხანია!

მტერი დაჭამხოთ, შეეძა დაჭამხოთ,  
„ურა“ გიმდერთ! ურა! ურა! ურა!!!

დავცეთ თავზარი „კრამილას“,  
შეგწუთოთ თავისუფლება!..  
ჩვენ შემდგა თუნდ მთელს რუსეთში  
ქვაქვაზე ნუდარ იქნება!..

### ნატვრა უცირესისა.

(არანისა).

ხანში შევდივარ თან-და-თან,  
სიყრმე მექრდილვის, ბინდდება,  
სამშობლის ვერა ვარგე და  
მტერს ვერ ვმტრობ გული მისკდება!  
ღმერთს ვთხოვ: მცონარეთ არ მოვკვდე,  
ბრძოლით მსურს თავის წაგება,  
მტრისაღმი ნაცვლის მიზღვევა,  
მოძმისთვის ხიდათ გაგება!

ხან ვნატრობ თოფით ვქუხავდე  
და ხმლით ვცელავდე მტრის ჯარში,  
ავილო მნენდ ზარბაზანი  
მკერდით მისსავე საფარში!

ვენგერთა ღროშის ვიხილო  
მაღალ მთის ქედზე ფრიალი,  
„დიდება ღვთის-მშობლის ხვედრა!“  
მესმოდეს ლაშქრის გრიალი...  
მე იქვე მომკლა ბრძოლის ველს,  
მტიროდენ მარტო მხედრები,

გვირგვინთა ნაცვლათ მოჰქონდეთ  
მხოლოდ მტრის აკიდო ძვლები!  
მოძმეთ ვთხოვ: მაშინ ნუ მგლოვენ,  
დამმარხონ ბრძოლის ველზედა,  
მხოლოდ კი ის ზარბაზანი  
ძეგლიდ დამადგან გულზედა!  
ზედ წაწერონ: „მდებარებს  
„აქა ადალბერტ მხედარი,  
„თავი შესწირა სამშობლის  
„და ბელნიერი მით არი!“

ა. ელანძე.

### ჩემი ლოცვა-ვეღრება

#### ღმერთო გაშორე:

ყველგან გავრცელებულ რეაქციას,  
ხულიგანების პროვოკაციას,  
ჩვენებურს აღმინისტრაციას,  
სოჭების ექსპლოატაციას,  
ქართველთ პროლეტარიზაციას,  
სხვა და სხვა პარტიების ფრაკციას,

ჯარის კაცების პერტრუბაციას,  
მიწების სოცილიზაციას,  
ქარხნების ნაციონალიზაციას,  
დემოკრატების ცენტრალიზაციას,  
სოფლად ჩვენებურს აგიტაციას,  
შავრაზმელების ორგანიზაციას,  
სოციალურ მუნიციპალიზაციას,  
კაპიტალ-მამულის კანცეტრაციას,  
ქალაქის „ნედომქების“ კვიტანციას,  
ჩვენი სკოლის რეორგანიზაციას,  
დახურულ გახეოების რედაქციას,  
სომეხ-თათართა აგიტაციას,  
ყველა კუსმოპოლიტურ ნაციას,  
კერძო საკუთრების კონფისკაციას,  
ქართულ ბანკების ობლიგაციას,  
ქუჩებში მწვავე დემოსტრაციას,  
სადღესასწაულო დელეგაციას,  
თავად-აზნაურთა დეპუტაციას,  
მამა ვოსტორგოვის მახინაციას,  
სასამართლოთა ბოლო სანქციას,  
დასასჯელთ განწირულ სტანციას,  
მთავრობის უმაღლესს ინსტანციას,  
ქალაქ ტფილისის კანალიზაციას,  
ქართველ ქალების ემინისპაციას,  
ექიმების კონსულტაციას,  
ხატისოვის დისერტაციას,  
ხირურების ტრეპნაციას,  
სახაზინო თეატრის დირექციას,  
მყვლეფავ ვაჭრების კომერციას,  
ჯგუფისტების ექსპროპრიაციას,  
კახურ ღვინის ფალსივიკაციას,  
სამინისტროს დეკლარაციას,  
ტიმოფეევის პუბლიკაციას,  
რუსის ხაზინის ასიგნაციას,  
და ჩვენ მეზობლების გნაც! — იას!

## პროცესი.

**თელავი.** ოფორტ ყველვნო, ჩვენშიაც დღი-  
თი დღე მატულობს ხოცვა-ულეტა, ძარცვა-გლეჯა  
და, თუმცა აღმინისტრაცია გვარწმუნებს, რომ ყო-  
ველივე ბოროტება და ავსულობა მიწუნარდა-მი-  
ჩუმდაო, მაგალითები კი სულ სხვა რასმე გვეუბნებიან.  
აღმინისტრაცია ან თავს ატყუებს ან ჩვენ და ამ  
შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ სისულელეს ჩადის.

ისე არასოდეს არ ყოფილა ამღვრეული ხალ-  
ხის გული, როგორც ეხლა.

\* \* \*

უეჭველია მკითხველებს მოქსენება, თუ რა  
დღეც დაგვაწია თელაველებს მაზრის უფროსმა მო-  
კლული ახპატელოვის დასაფლავებაზე — დილიდან

## ნაძირალნი და ხულიგნები



ეშვავმა იცის ჩემი თვი!... რა პოლიტიკურ დანაშაუ-  
ლობისათვის ამომაყოფინს თვი ვირის აბანოში! ღმერთმა  
ხომ უწყის და კაცმაც რომ უერთგულესი მონა ვარ ძალმო-  
მრეობის ჩერებისა. მაშ რათა? რათ ჩამავეს მეტების ციხე-  
ში?!... დამაცა ეს ციხე კი არა ქუჩა... ეს რკინის რიკუ-  
ლები უწმინდურობის ჩასაზიდია!... ა, ეხლა კი მესმის: მთ-  
ვრალი წავჭეულვარ...

საღამომდე და გათენებამდე დიდალი ხალხი, ქალი  
თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ბრალიანი თუ უბრა-  
ლო, ვითარცა იონა გველეშაპის მუცელში, დამ-  
წყვდეული ვიყავით ეკკლესის გალავანსა და პო-  
ლიციის ეზოში.

ეტყობა ჩვენს გოდებას უმაღლესს მთავრობის-  
თვის მიუღწევია: არ მოუწონებიათ ბ-ნ ანტონვის  
საქმენი საგმირონი და იგი, ამიერიდან სახელოფანი  
აღმინისტრატორი, დუშეთის მაზრაში გადაუყვანიათ.

\*

მაგრამ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „უბე-  
დურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, ამის არ  
იყოს, ამას წინეთ კინალამ არ შევიქენით ზეარა-  
კად და მსხვერპლად ისევ იმ დიდებულ და სახე-  
ლოვან ანტონოვისა. თელავის მახლობლად ვიღაც  
ყაჩაღები დასცემოდათ ანტონოვს, მის ძმას, საგუ-  
ბერნიო ინუნციებს და ერთს იმათს ნაცნობ მოხე-  
ლეს და კინალამ სულ ერთიანად. ამოეწყვიტათ.  
მკითხველებმა იციან, რომ ჩინოვანი მგზავრები გა-  
დარჩენ, ხოლო მოუკლავთ ორი სტრაუნიკი და მეე-  
ტლე. ადვილი გასაგებია თელაველების სიხარული  
და მწუხარება! ძვირფასს მგზავრებს რომ დამართო-  
დათ რამე, შენს მტერს, რაც ჩვენ დაგვადგებოდა.  
თუმცა არც ეხლა გვადგია სიკეთე, რადგან მთავ-  
რობა აღარ გვწყალობს, ვითარცა მოძრაობის თა-  
ნამგრძნობთ... და...

„კარგი რამ გვირდეს გვიკვირდეს, ავი რა  
საკირველია!“!..

ჰაჟი.

**სოხუმი.** არ მართლდება რუსთაველის სიტ-  
ყვე— „შიში შეიქმ საყვარულსა“— ა. ამას წინ ად  
აქ სიცოცხლე მოუსპეს აღგილობრივ ბოქაულს და  
მასთან უცაბედი მსხვერპლი შეიქნა ბოროტ-მოქმე-  
დებისა ქალაქის გამგეობის წევრი კორჩიცი. შიშა

და თავზარ დაცემის რომ სიყვარულის შექმნა შეს-  
ლებოდა, განა ამდენი უბედურება დატრიალურო-  
და ჩვენს ცოდვილს დედამიწაზე?!

\* \*

პირიქით, მერე დიდი პოეტისა არ იყოს,  
რაც შურსა და მტრობას, სუსხს და ძალმომრეობას  
დაუქცევია, ის სიყვარულს და კაცომყვარეობას აუ-  
შენებია.

ბევრს ლაპარაკობენ აქ თავ. ლევან ჯანდიე-  
რის აქედან გადაყვანაზე. მერე რათა? იმათ, რომ  
იგი დიდი ტაქტიო, შეგნებით და ადამიანურად ეპ-  
ურობა ხალხს, რადგან მისი კეთილ-დღეობისა და პატ-  
რონობისათვის არის იგი მოწოდებული. არ მოს-  
წონთ ეგა ბნელების აგენტებს და „ნამდვილ რუ-  
სთა კავშირის“ წევრებს, რომელნიც ჩვენში, ღვთი-  
სით, თითოთ დასათვლელია.

გვიკვირს და გვაოცებს – ნუ თუ აურიცხელმა  
მაგალითებმა თვალი არ იუხილა ვისაც ჯერ არს,  
რომ ძალმომრეობა პროტესტს იწვევს, ბრძოლა—  
წინააღმდეგობას, ლვარძლი და გესლი—შურსა და  
მტრობას!?

\* \*

რით აიხსნება თუ არ ლვარძლით, რომ ჩვენი  
თელო აგერ მეოთხე თვეა ადგილობრივ ციხე-ჯურ-  
ლმულშია დამწყვდეული და ვერავითარმა თავდებო-  
ბამ, ხვეწნა-მუდარამ ვერ უშველა, რომ ავადმყოფ  
კაცს როგორმე დაეხწია თავი იმ წუმბედან, რომელსაც  
აქ შეცდომით ციხეს ეძახიან. ვველამ ხომ უწყის,  
რომ თავდებობით გამოშვების მაგალითები მრავალი  
ყოფილა ჩვენში და ათჯერ უფრო მძიმე დანაშაუ-  
ლისათვის, ვიდრე თელო სახოკის მიუძღვის.

თვითონ თელო, თუმცა უძლებელი არის, მაგ-  
რამ იმედით აღსავეთა — იგი დარწმუნებულია, რომ  
მოჭორილი ბრალდება არაფრით გათავდება, მეტა-  
დრე ისეთ ვექილების ხელში, როგორნიც არან  
ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი გვაზავა და  
სოსიკო ბარათაშვილი.

ღმერთო, შენ უსმინე ყველა გაჭირვებულთ  
და ხელი მოუმართე სიმართლის იღსაღვენათ. !..

**ბაალი.**

**ფოთი.** ჩვენში ბან ნიკ. ნიკოლაძის მეოხებით  
ყველაფერი არის: ელექტრონის სინათლე, ტრამ-  
ვაი (კონკა), გზები და ქუჩები მოკირწყლულია და  
სხვა ამისთანა თვალსახვევი გარეგნული ზირთი-  
ფირთები, მაგრამ არ არის უმთავრესი რამ: არ არის  
ქალაქი, მიუხედავათ იმისა რომ ბოლაზმა ორი მილი-  
ონი ინაცვალო.

ეხლა ჩვენი ბატონ-პატრონი და მფარველი  
წმინდა ნიკოლოზი საზღვარ-გარედ გაემგზავრა „რე-  
ალიზაციის“ მოსახლენათ, რადგან რუსეთში „რეა-

ლიზაციის“ რეალური გარემოება დაზულა, ესე იგი,  
ათ თუმნიანი იბლიგაციები უნდა გასაღებულ იყო  
ორ მესამედ ფასად. იუკალრისა ნეტურულმა უგდე-  
თი თავებლის რუსეთის კაპიტალმტკბის სტატუსი  
კურუბლი საზღვარ-გარედ!

ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენს წმ. ნიკოს  
უწმინდურ კაპიტალისტების ჩისათრევად, მაგრამ,  
მაგარი ის არის, რომ მეტისმეტად ხშირი შეიქმნა  
ნიკოს მოგზაურობა და ვაი თუ, რასაც მეტს აი-  
ღებს, მის წასკლა-ვოსკლას მოხარდეს!..

**ოთხთურ.**

### ცოლ-ქმრული ბედნიერება.



თხ—მეც არ გვიჩვირდე, თავზე რომ თრი რქა  
ასომთავიდა რა მაზეზია მეტე. თურმე ნუ იტუგით ცო-  
ლიც მდალატობს და მეგობარიც...  
აა ამასა ქვაან ახალი ცსოფრება და თავისუფლება!

### ჩვენი პორტალეთის საზურალებოდ.

(ათი მცნება).

- 1) თუ შესანიშნავი რამ მოხდა საღმე, დაუყო-  
ნებლივ შეატყობინე რედაქციას.
- 2) იყავ მარტივი და მოკლე, რითაც შელავა-  
თს მისცეს შენს თავსაც, რედაქტორსაც, ისოთ-  
ამწყობსაც, კორექტორსაც და მკითხველსაც.
- 3) რასაც დასწერ, გარკვევით, სუფთად დასწერე  
და უსათუოდ აღინიშნე დრო და უამი.
- 4) წინადაღება ყოველთვის მოკლე უნდა იყოს.

საზოგადოთ ნაწერს დეპეშის ხასიათი უნდა ჰქონდეს— სიმარტივე და ადვილად გასაგები.

5) ყოველ წერილზე უთუოდ უნდა დასტოვოთ თვისუფალი ადგილი გვერდზე, ზემოდ და ქვემოდც წერილის შესასწორებლად.

6) წერილი უსათუოთ კრთ პირზე უნდა იყოს დაწერილი, მეორე გვერდზე წერა შეუძლებელია.

7) ყოველს წერილზე აღნიშნული უნდა იყოს შენი სახელს და გვარი და აგრეთვე შენი აღრესიც.

8) შესანიშნავი და საჩარო ცნობები უსათუოდ დეპეშით უნდა მოიწერო ან ვინმე მგზავრის პირით შეატყობინო რედაქციას.

9) არამც-და-არამც არ მიაწოდო რედაქციას ცრუ ამბავი, რომ არც თვითონ შერცხვე და არც რედაქცია შეარცხვინო.

10) საზოგადოდ ვისაც თავისი ქვეყანა და ხალხი უყვარს, მუდამ ეცდება, რაც ხალხ და ღონე შესწევს, ხელი შეუწყოს ისეთს გამოცემას, რომელიც ქვეყნისა და ერთს საკონილდეოდ იღწვეს.

## ისტორიისათვის.

ვისაც გსურთ რომ დაუგდოთ  
ამ ჩემ ჩონგურს თქვენი ყური,  
მე ეხლავე მოგახსენებთ:  
გაგამჭვავებთ „ნიშადური“!

მარტო წინასწარმეტყველების ღროს არ ხდებოდა საკირველება. იგი ჩვენს ქვეყანაში ხდება დღესაც. დღესაც ჩვენში მრავალია გამსჭვალული მოყვასისადმი სიყვარულით, სტირის და იხოქს პირს მისთვის, დღე და ღამ მისთვის ფიქრობს და მისთვის იტანჯება. ამისთანა გვამთა სახელი რომ არ დაეკარგოს ისტორიას, ჩვენ განვიზრახეთ „ნიშადური“-ს საშუალებით უკვდავნი ვყოთ იგინი შთამომავლობისთვის.

ვიწყობთ რა ამას ი. როსტომაშვილიდამ, რომლის სურათი ქალაქ თელავის კარებზეა გამოქანდაკებული და ჩვენ კი ხელთ არა გვაქვს, რომ მკითხველის თვალი გაგვეტედნიერებინა, ვაუწყებთ ისტორიას მის ახალს საკირველთ-მოქმედებას:

**მკვდართა საყურადღებო:** ცეხადებათ მათ დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ითანესთან ამ თვის გასელამდე, მკვდარების სატახტო ქალაქ თელავში მის საკუთარს ბინაზე. მკვდარი, რომელიც არ დაესწრება კრებას და ან საპატიო მიზეზს არ გამოგზავნის, მიცვალებულთა სიიდან ამოირიცხება. კრების საგანია „სამარხი კასის“ ანგარიში, რომლის შესახებაც იმ საიქიოს ქორები გავრცელებულია, კითომც კასის ყუთში ივანეს ბოროტი სული, ანუ ეშმაკეული რამ შეპარდეს.

**ქვრივთა საყურადღებო:** ნუ სტირით და

ჰგოდებთ მემცხედრისა თქვენისა დფერხეჭურული რეთ და ოროკეთ, რამეთუ საკირველი ქადაგულმანი მი-ერ დაკარგული საუნჯის მაგიერობა იტვირთა, და-არსა კასა ქანქარისა ქვრივთაივის. ისწრაფეთ მ. ს-კენ თვალცრუმლიანნო და ივანე განკურნავს და-ვადებულსა გულსა ქვრივისასა.

**ქალთა საყურადღებო:** ორსულნო და არა ორსულნო, მადლი საკირველი კაცისა გეწი-ათ თქვენც. იხაროს ყრმამან თქვენმან საშოსა ში-გან. კაცმან ივანემან აღაშენა მშობიარეთათვის ბა-გა ბეთლემისა თელავის ზღუდესა შიგან. ბაგასა ამას ეწოდების „კასა ორსულთა“. მოლოგინება თქვენი კისრათ იღვა კაცმა ივანემ, ვითარცა გა-მოცდილმა ჯიბის აკუშორმა.

**ბოგანოთა საყურადღებო:** არცა თქვენ, ძმანო ჩემნო, დაგტოვათ წმინდამან ივანემ. თელა-ვისა უდაბნოსა შიგან, რომელსამე ადგილს სახელათ ნადიკვარს ყოფილა მიწა, რომელიც ქანქარითა მოიპოვება. და გიწვევთ თქვენ იქითკენ იოვანე ქანქარით, იყიდეთ, თუ ფული გაქვთ, და შესწი-რეთ მადლი კაცსა მას, რომელმან აღმოაჩინა წყა-რო ცხოვრებისა თქვენის. დიდ არს ღვაწლი მისი!

**ხოტა.** ჰო საკირველო, ივანე! რაოდენი იტანჯე და რაოდენს იტანჯები ერთს შენისათვის. მკლავმან ჩემმან ვერ შესძლოს ყოველისავე აღნუ-სხვა. მახსოვს ერთხელ ქალაქ თბილისში ოთხსა შიგან ჩვილთა ყრმათა კოლხიდელთა მებაღეობას ასწავლიდი და ქერზე „კაცუსტას“ ათესინებდი.

ვაშა გონიერებასა შენსა, ვაშა ღონიერებასა შენსა. დახვალ თელავის უდაბნოში შემოსილი აქ-ლემისა თასმითა და იკვებები კალიით, ვითარცა წინასწარმეტყველი იოანე, რომელმან სთქვა: მოვა ჩემსა შემდგომათ კაცი ვინმე, რომლისაც არ ვი-ქნები მე ღირსი ქალმანი გავხადოვო; სიტყვები ესე აღსრულდა შენსა ზედა, ხოლო თვით შენ ფრიად თავგდაბალ ხარ. და ხდი ქალამნებს დიდსა და მცი-რებას, მკვდარსა და ცოცხალს, ქვრივსა და პატარ-დალსა, სულიერსა და უსულოსა.

ნუ გაიტე გულს საკირველო კაცო, არამედ იღმართე ხელი შენი და აქმიე საცეცხლურისა მა-გირ ყუთი „კასისა“, რომელიცა მრავალ ფერო-ვან და მრავალ გემოვან არს. წმ. ალავერდი იყო შენი შემწე.

**რიგოლეთო.**

**პარტიების პინძლაობა.**

(ჩვეულებრივი ამბავი ჩვენებურავ-დველებურად).

**სოც.-დები.** რაცა ვართ-მხოლოდ ჩვენა ვართ—ხოციალ-დემოკრატია!

მოძღვრებით კლასთა ბრძოლისა

დავამხეთ ბიუროკრატია;  
სხვა ცველა ბურუებია:  
ანარხისტ-ცედერალისტი...  
ქვეყნის ქომაგნი ჩვენა ვართ  
ნამდვილი სოციალისტი!

**ანარხისტები.** ნუ სტყუით, დემოკრატებო,  
თქვენი მოძღვრება ფუჭია;  
სოციალობა ვერ ეთქმის  
ვის ამოქმედებს კუჭია;  
იდეალი თქვენ არა გწამთ—  
ვერ გახვალთ ამ ფონს ნავითა!—  
მარქსი, ენგელსი, კაუცი  
ვერ მოინელეთ თავითა,  
და გოგრა სამეცნიერო  
სავსე გაქვთ შილაფლავითა!

**სოც.-დები.** ნეტა, რას მიედ-მოედვით,  
რა გესმით კრასთა ბრძოლისა!..  
თქვენ არა იცით ამ ქვეყნად  
გარდა ბომბების სროლისა...  
ჩვენ გავიძითით: შეერთდით  
ქვეყნისა პროლეტარებო,  
თავი აღიღეთ, გამხნევდით  
ცველა მუშებო—მონებო!  
თქვენ კი?.. განა სათქმელია  
გზების სოციალიზმი!  
სიცილისა გვერდის სუსველასა  
უტოპია—ანარხიზმი!..

**სოც.-ფსტები.** „ბედაურნი დაიხოცნენ,  
ვირებს დარჩათ მოედანი“...  
წყეულ ვიყოთ, თუ გვენახოს  
თქვენისთანა შარლატანი!  
თვით არ იცით, რა გწადიანთ;—  
ბეჭვსა ხედავთ სხვების თვალში,  
თქვენსაში კი ხეს არ ამჩნევთ,  
თქვე ტურებო, მგლების ტყვაში!  
საცოდავათ დემაგოგით,  
ცენტრალიზმის ქურუმებო,  
წამ და უწუმ „ლოზუნგს“ იცვლით,  
ყოვლად ყრუ და ყოვლად ბრძებო!..

**სოც.-დები.** დაგვაცა, შემდეგ ნომერში  
დაგანახვებით თქვენ სეირსა!..

## სულექლთა-ქორის.

**თვალის ექიმთან.**—არა, ექიმო, მე გადავწყვიტე, რომ ოპერაცია აღარ გავიკეთო!.. ამ უამად ცოტათი მაინც ვხედავ ავალმყოფ თვალით, ხოლო თუ ოპერაციამ მიმტყუნა—შეიძლება სრულებით დაფრინავდე მარცხენა თვალით!..  
— დამშვიდლით, ჩემო კეთილო! დინჯათ უპა-

სუხებს ექიმი, თუ ოპერაცია უხეირა გამოდგა, მაშინ ისეთს შვევნიერ შუშის თვალს ჩაგდებაშე—უკან თქვენი მოწონებული. არა თუ სხვები უჰქილო გარების გაარჩევთ, რომელია შუშისა და რონელი ნამდვილი!

**თითქმის.**— დათა, გავიგე ცოლი შეგირთავს?

— დიახ, თითქმის...

— როგორ თუ თითქმის?

— ისე რომ ცოლი ქორწილის დღესვე გამექცა. მღვდელმა ჯვარი გადაგვწერა და ქალმა კი სხვასთან გაკურცხლა...

**ქალის ლოლიკა.**— რა შვევნიერი ყმაწვილია ეს ქორქინკა! გაიძახის ერთი გონჯი ქალი.

— ქორქინკა?!— აბა რას ამბობთ, ქალო, სულელია და ყოვლად უვიცი!..

— სამაგიეროდ რა ლამაზია!.. რა კონტა გაბზეკილი ულფაშები აქვს!..

**ჯილდო-მენდალი.**— რა საგმირო საქმისათვის მოგცეს შაქრო, ეგ გულ-მკერდს რომ გიმშვენებს?

— „პახოტობისათვის!..“ შენ ადვილი გგონია სხვის სახლებსა და სადგომებში ხეტიალი და მათი აწერა. ეს მენდალიც ქალაქის აღწერისათვის მიბოძეს...

. — დიდება შენ სახელს ზახარი მიხაილიჩ!

## სიმღერა სიძულვილისა.

(თარგმანი).

წინ, მეგობრებო. ტყე, მდინარე გადავიაროთ, იქ განთიადი შორით ბრწყინვას, წითლათ კროება, დავემშვიდობოთ გულის ტოლსა ჩვენ სამუდამოთ, იმის მაგიერ ხელთ ხმალი გვაქვს, გრძნობა ენთება! ვიდრე დუღს სისხლი ჩვენს ძარღვებში ვერ მოგვ-

| დრეკს ძალა, და ავართული მახვილითა ძირს დაგსცემთ ჩვენს | მტერს.

დიდი ხანია რაც გვიყვარდა და აწ კი კმარა, ახლა ჩვენ გვინდა შევიზიზლოთ და მხოლოდ | გვძაგდეს!

ცხოველ-მყოფელი სიყვარული ჩვენ ვერ და- | გვისნის,

ის ვერ იქნება ჩვენ მოსარჩევთ ამიერიდგან, აწ იმედი გვაქვს მხოლოდ ერთი სიძულვილისა, სიყვარული კი ჩვენ გავდევნოთ ჩვენი გულიდან! იქ, სადაც მტარვალთ შეირჩინეს კიდევ უფლება, ჩვენ მოვსპობთ იმათ, ჩვენ გაუთხრით იმათ სამარეს.

დიდი ხანია რაც გვიყვარდა, აწ კი კმარა, აქლა ჩვენ გვინდა შევიზიზლოთ და მხოლოდ | გვძაგდეს!

ერთი გვაქვს მხოლოდ ეხლა ჩვენა უმანკო  
| დროშა,

ზედ აწერია: „სიხალვათე, თავისუფლება“,  
დე, აღიგზნას გულში ცეცხლი წყევლა-კრულვისა  
და ვით კოცონი აპრიალდეს შურის-ძება!

თავისუფლებას მოკლებულნი დიდხანს ვიტანჯეთ,  
ეხლა კი ქმარა, ყველგან იმას გამოვაცხადებთ:

დიდ ხანს გვიყვარდა დაჩაგრულ ხალხს, ახლა  
| გვეყოფა,

აშ სიძულვილსა ჩვენსა გულში დავასადგურებთ!

თავისუფლება მოგვეცით ჩვენ და მთელს ქვე-  
| ყანას,

დე, მტარვალთ სისხლი იღვრებოდეს დედა-მიწაზე,  
ამიერიდან სიძულვილსა ჩვენ გავამეცებთ,  
და სიძულვილი ძვირფასია თვით სიყვარულზე!  
ვიდრე დუღს სისხლი ჩვენს ძარღვებში ვერ მოგვ-

| დრეკს ძალა  
და აპართული მახვილითა. ძირს დავსცემთ ჩვენს  
| მტერს.

დიდიხანია რაც გვიყვარდა, აში კი ქმარა,  
ახლა ჩვენ გვინდა შეეიძულოთ და მხოლოდ  
| გვძაგდეს!

#### ი. ევდოშილი.

### ერთ ცოლიანობა თუ მრავალ-ცოლიანობა?\*

ოსმალურ ყოველ კვირეულ ნახატებიან ქურ-  
ნალში „საკვირველი საუბარი“ს სათაურით მო-  
თხრობილი და დასურათებულია შემდეგი: დგას  
ფეხზედ ახალ გაზდა ყმაწვილი-ქვეშ აწერია „ქრის-  
ტიანი.“ მოაჯირზედ მიყრდნობილა მეორე ახალ-  
გაზდავე ყმაწვილი—ქვეშ წარწერით „თათარი,“  
მათ შორის საუბარი წარმოებს.

**თათარი.** ერთი მითხარი, ჩემო დოსტო, ქრის-  
ტიანები რატომ ერთხელ მეტად არ ქორწინდებიან?..

**ქრისტიანი.** იმიტომ, რომ ერთხელაც ქმარა.  
არა თუ ორსა და სამს ცოლს, ხან ერთსაც შეუძლია  
ვაჟკაცის სიცოცხლის მოსწამლვა.

**თათარი.** რატომ, განა ქალი ისე ავსულია,  
რომ სიცოცხლე მოსწამლოს?—არა, ჩემო დოსტო,  
მე სულ სხვა აზრისა ვარ, ქალს და მხოლოდ ქალს  
შეუძლია სიცოცხლე მოგვცეს, ბედი მოგვანიჭოს,  
გვასიამოვნოს, გვაცხოვროს და გვაცხონოს!..

**ქრისტიანი.** მართალია, რასაც ამბობ, მაგრამ  
ამისათვის, რასაც შენ ამბობ—ერთი ცოლიც ქმა-  
რა-თუ მართლა ასე კეთილი იქნება.

**თათარი.** კი მაგრამ ქალები, რომ მეტია ქვე-  
ყანაზე?

**ქრისტიანი.** იმიტომ არის მეტი რომ თქვენ  
მრავალ ცოლიანობას მისდევთ!..

**თათარი.** შენ დამცინი, ჩემო დოსტო, მე  
კი არ ვხემრობ; მე სრულებით ლოგუავრენდ გლეხდე  
ჩვენი „პოლიგამია“—მრავალ ცოლობის ტუჭურებულება  
საგანზედ არის დამყარებული. თქვენ ეს არ გესმისთ?

**ქრისტიანი.** მხოლოდ მონობას ამრავლებთ,  
მეტი რა უნდა იყოს!..

**თათარი.** ძალიანა სცდები, გინდა იგისნი  
ჩემს აზრს?

**ქრისტიანი.** დიდის კმაყოფილებით მოგისმენ...

**თათარი.** ჯერ ერთს რასმე გკითხავ: ქალს  
რამდენჯელ შეუძლია შვილი გაიჩინოს?

**ქრისტიანი.** ყოველ ცხრა თვეში ერთხელ.

**თათარი.** კაცე?.. თუ ქალი ჰყავს?

**ქრისტიანი.** შენ ისევ შენსას ამბობ. ეგ რა  
საკითხია—ბირმანიისა თუ ვიღაცის მეფეს ცხრაასი  
შვილი ჰყოლია სამასი ცოლისაგან! მერე-რაო?

**თათარი.** რა და ისა, ჩემო დოსტო, ჩვენ ხომ  
ხალხის გამრავლებას ხელი უნდა შეუწყოთ. თუ კი  
კაცი ყოველის მხრით ჯანსაღი იქნება, რატომ  
უნდა ჩაიკლას სურვილი გულში?—ეს ხომ დალა-  
ტია თავის გვარისა-კაცობრიობისა. ვსთქვათ: მოგ-  
როვდენ ჯანსაღი ვაჟ-კაცები როგორც ფიზიკურად  
ეგრეთვე ზნეობრივად ყოველივე ქვეყნის პირიდან.  
ეგრეოვე მოგროვდენ ქალებიც. შედარებით უეპვე-  
ლად დედაკაცები მეტი იქნება! ხომ ასეა?

**ქრისტიანი.** ვიცი რაც უნდა სთქვა; შენის  
აზრით თუ მეტია, შეიძლება ქალები გავიყოთ,  
მაგრამ ეგ ხომ პიროვნების უარყოფა და ძალმომ-  
რება იქნება! ქალიც ხომ კაცია-ადამიანი, მასაც  
ხომ თავმოყვარება აქვს და ისიც თავის „მე“ს  
ეთაყვანება.

**თათარი.** ვერა სჯი რიგიანად. კარგი, ყველამ  
თითო იყვანოს, დანარჩენი?.. ისიც ხომ ადამიანია  
რომ ამბობ—მაშ რა უნდა ქნას, სრულიად მარტოდ  
ხომ ვერ იცხოვრებს? არა, ჩემო დოსტო, თუ—კი  
ქალს ბუნებისაგან რებია—ცხრა თვეში ერთხელ  
შობიარობა და თუ ქალები ყოველოვის მეტი არიან  
და—ამასთანავე კაცს ბუნებითვე მინიჭებია მეტი  
ძალა და უნარი ადამიანის გამრავლებისა—მაშინ,  
დამერწმუნები, ჩვენ მართლები ვართ, რომ მრავალ  
ცოლიანობას მივდევთ.

**ქრისტიანი.** ვერც შენა სჯი სწორედ. ნეტა  
რა საჭიროა ხალხის გამრავლება და შემდეგ თქვე-  
ნებურად იმათი ხოცვა-ულეტა. შოპენგაუერი და  
ლევ ტოლსტიო სრულიად უარს ყოვენ გამრავ-  
ლების საშუალებას!..

**თათარი.** ვა, ეგრე თქვა?.. შენ ჩემო ძმაო,  
გაშოპენ-გაურებულხარ —და რასაკვირველია ასე  
იტყვა!..

ოსმალური გაზეთი-კი ამ საუბარს დასძენს  
„ორივენი მართალი არიანო.“

\*) ეს ამბავი ბ-ნ იასე რაჭელმა მოგვაწოდა, რომელიც  
ოსმალურ ნახატებიან ქურნალიდან გაღმოულია.

ბრძოლა პარტიების უორის



ევროპისა და უფრო დროს პარტიების შორის გაცხარბული კამათობისა და ბრძოლის საბაზი უორისა და იქნების უმირალესობის დაწესება და უფლების ხელში ჩაგდება.

უორის მხატვრობითი უურ-  
ნალი ჩარიკატურებით

## „ნიშანული“

პროგრამა:

- 1) სიტყვა-კაზმული, მწერლობა: ლექსები, მოთხოვები, პისები.
- 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარგარებელ.
- 3) ფელეტონები ლექსათ თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე.
- 4) სცენები, იგავარაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე.
- 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
- 6) ილუსტრაცია—სურათები გამოქანილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნახატები.
- 7) ჯრიკატურები დღიურ ჭირ-ვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე.
- 8) გაცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

ფასი: წლით 5 მ. 1/2 წლით 3 მ., ცალკე № 10 კ.  
ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წესწყობილების გამო უურნალის ბედ-იღბალი გამოურკვეველია.

◆ საჭიროები არიან ◆

პროვინციელი პირიანი აგენტები

და შეამონი თანამშრომლები.

რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გურია.  
გისამართი ფასტით: თიფლის, ვალერიან გურია.  
რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ., № 9, ვერაზე.



რადიკალ-ანარქისტი. განახლება შეუძლებელია ძელს საძირკველზე,  
ჯერ ყველაფერი უნდა დაინგრეს და დაიმსხვრეს ხოლო მას შემდეგ  
აღორძინდეს საოცნები სამოთხე!

რედ.-გამომცემელი ვალერიან გურია.